გამოვიდა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის წიგნი „დოსტოევსკის სახარება“



თეოდორე მიხეილის ძე დოსტოევსკის გარდაცვალების 140 და დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობის სახლმა „პოზნანიე“ [„შემეცნება“] გამოსცა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპლოლიტ ილარიონის ახალი წიგნი „დოსტოევსკის სახარება“.

დოსტოევსკი – ეს არის გასაგებად ერთ-ერთი ყველაზე რთული რუსი მწერალი. ისე, როგორც სხვა არავინ, იგი მკითხველს აიძულებს, იფიქროს, რადგან სვამს შეკითხვებს და არ იძლევა მათზე პირდაპირ პასუხებს. სახარება კი ერთ-ერთი გასაღებია, რომლის მეშვეობითაც დოსტოევსკის მსოფლმხედველობა იხსნება. ხოლო მისი ნაწარმოებები, თავის მხრივ, ვინმესთვის შეიძლება სახარების გასაღები აღმოჩნდეს.

წიგნის სახელწოდება ორმაგ დატვირთვას ატარებს. მასში საუბარია არა მხოლოდ იმ სახარებაზე, რომელსაც დოსტოევსკი მთელი სიცოცხლის განმავლობაში კითხულობდა, არამედ იმაზეც, რომელსაც ის თავად წერდა. რამეთუ მის შემოქმედება იყო „კეთილი უწყება“ რუსი ხალსისათვის –

წინასწარმეტყველური და მოციქულებრივი უწყება ცხონების შესახებ ქრისტეს მეშვეობით. დოსტოევსკი სახარებას აღიქვამდა ძალიან პირადულად, საკუთარი გამოცდილების პრიზმაში, და ღვთის განგებით მას წინასწამეტყველობა ერგო, რომელსაც უნდა ეუწყებინა სახარებისეულ ჭეშმარიტებები მე-20-შიც და 21-ე საუკუნეშიც.

წარმოდგენილ წიგნში მწერლის ქრისტიანული მსოფლმხედველობა განიხილება მისი ბიოგრაფიის ფონზე და მისი ოთხი რომანის საფუძველზე: „დანაშაული და სასჯელი“, „იდიოტი“, „ეშმაკნი“ და „ძმები კარამაზოვები“. დამატებით წყაროებდ გამოყენებულია მისი სხვა ნაწარმოებებიც, მათ შორის რომანები „მოზარდი“ და „მწერლის დღიური“, წერილები და უბის წიგნაკების ჩანაწერები, ასევე, დოსტოევსკის ნათესავებისა და მეგობრების მოგონებები. მწერლის შემოქმედება წარმოდგენილია მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურისა და იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის საერთო კონტექსტში.

ზსად* პრეს-სამსახური
სსკგ კომუნიკაციების სამსახური

გაზიარება:

* ზოგადსაეკლესიო ასპირანტურა და დოქტორანტურა

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87394/